დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 2

ქ. დმანისი 28 თებერვალი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მიხეილ დაუთაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. მურაზი აბრამიშვილი
12. შალვა ღამბარაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. ნატიგ ოვჩიევი
18. შოთა აკობაშვილი
19. გუმბათ იუსუბოვი
20. თორნიკე ნინიაშვილი
21. კახა დევნოზაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 13. 25
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს '' თავმჯდომარის მოადგილედ მიხეილ დაუთაშვილის არჩევის შესახებ
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების თაობაზე
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**

5	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**

6	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (არიზ სულეიმანოვი)
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ისრაფილ მამედოვი)
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

9	**განკარგულება:** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ
მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილი**

10	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ. ციხელაშვილი**

11	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წელს გაწეული მუშობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე
მომხსენებელი:	**კ. მურადაშვილი**

1.მომხსენებელი : მაკა ასლანისვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი ზედამხედველობის დასკვნის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში არ არის ასახული „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 2021 წლის 24 დეკემბრის №1163-VIმს-Xმპ, 2022 წლის 15 და 29 დეკემბრის №2227-IXმს-Xმპ და №2436-IXმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონებით განსაზღვრული ნორმები, ასევე, არ არის გათვალისწინებული „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 25 მაისის №1611-VIIIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნა. კერძოდ, ხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად შეიცვალა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებული რეგულაციები, საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის მომზადებისა და დამტკიცების პროცედურები, მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმრავლესობისა და ოპოზიციის ფორმირების საკითხი, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხების მოწესრიგება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ა.შ. ამასთან, რედაქტირებას ექვემდებარება რეგლამენტის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკრებულოს დამსწრე წევრთაგან უხუცესი წევრის მიერ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის თავმჯდომარეობას. აღნიშნული პუნქტის შინაარსი შესაბამისობაში არ მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებასთან, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

საკრებულოს რეგლმანტი საჭიროებს აღნიშნული ცვლილებების ასახვას.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' წევრების გადაწყვეტილება, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ მიხეილ დაუთაშვილის არჩევის შესახებ 2024 წლის 05 თებერვლიდან (ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' სხდომის ოქმი №1, 2024 წლის 05 თებერვალი).

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ცნობად იქნეს მიღებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს

დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №008473/18 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის ანგარიში, ასევე აუდიტის ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (გეგმა) დაგეგმილი ან განხორციელებული ქმედებების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: მხარი დაუჭირეს ერთხმად დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის ანგარიშის ცნობად მიღებას.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. განსახილველად წარმოდგენილი მაქვს დმანისის მუნიციპალიტეტის შშმ პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა,რომლის მიზანია:
   შშმ პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.
   ხოლო სამოქმედო გეგმის ამოცანაა:
   1.შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.
   2.შშმ პირთა საზოგადოებრივ,პოლიტიკურ,კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდა.
   3. შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერება.
   4. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების /სასწავლო ღონისძიებების /ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა უფლებების და მათთან კომუნიკაციის სტანდარტებზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის №-109.109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს,ცვლილება შევიდა,“ტრანსპორტით მომსახურების 2024 წლის მუნიციპალურ ქვეპროგრამაში“.კერძოდ მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტის ა და გ ქვეპუნქტებში,რომლის მიხედვითაც ა)კვირაში ხუთი დღე იყო განსაზღვრული სოფელი პატარა დმანისი-ქ.დმანისის და ქ.დმანისი სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით რასაც დაემატა ერთი(მეექვსე) დღე. ხოლო გ) ქვეპუნქტს დაემატა ერთი რეისი-სოფელი ირგანჩაი ქ.დმანისის და ქ.დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით.

ქვეპროგრამაში ტრანსპორტით მომსახურების მიმართულება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. ქ. დმანისიდან ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან ქ. დმანისის მიმართულებით გადაადგილება კვირაში სამი დღე; ერთი დღე სარგებლობენ დიალიზის საჭიროების მქონე პირები ქ. დმანისიდან ქ. მარნეულის, ქ. მარნეულიდან ქ. დმანისის მიმართულებით.
2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.
3. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად.
4. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:
ა) კვირაში ექვსი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;

ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;
გ) კვირაში ორი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით (დღეში 2 რეისი);
დ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;
ე) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;
ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;
ზ) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მინართულებით.
თ) სასწავლო დღეებში - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება (დღეში 2 რეისი) სოფელი ზემო კარაბულახი - სარკინეთი და სოფელი სარკინეთი - ზემო კარაბულახის მიმართულებით.
5. ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე;
6. მე - 4 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება -ჩაბარების აქტის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში გამოიცეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ.

ასევე ცვლილება შევიდა 18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2024 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამაში, სადაც სიტყვა ეტლს მიჯაჭვული ჩანაცვლდა ეტლით მოსარგებლით.

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-4 მუხლის მიხედვით „მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით, დაადგინოს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემასთან დაკავშირებით, კოდექსით და ამ წესით გათვალისწინებულის გარდა, დამატებითი წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება და გამომდინარეობს მათგან.“. ამავე წესების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით „მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტით, მტკიცდება:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები, დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, დანართი №6-ის შესაბამისად.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ან შემოსავლებზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

7.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (არიზ სულეიმანოვი)

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, საჭიროა საკრებულოს მიერ მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიზილაჯლოს მცხოვრების, მოიჯარე არიზ სულეიმანოვის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამატეხელოს 343,1 (სამასორმოცსადამი და 10 თეთრი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

8.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ისრაფილ მამედოვი)

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, საჭიროა საკრებულოს მიერ მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიზილაჯლოს მცხოვრების, მოიჯარე ისრაფილ მამედოვის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამატეხელოს 393,70 (სამასოთხმოცდაცამეტი ლარი და 70 თეთრი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

9.მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ

„საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გადანაწილდა შემდეგი სახით:

განთიადი	განთიადი	სანიაღვრე არხის მოწყობა	16 000	
	ტნუსი	გარე განათების მოწყობა	12 000	
	ჯავახი	სახნავი და საძოვარი მიწების შემოღობვა	16 000	
კარაბულახი	სოგუთლო	გარე განათების მოწყობა	10 000	
	მამიშლარი	საზოგადოებრივ სივრცეში ფარდულის მშენებლობა	10 000	
	უსეინქენდი	გარე განათების მოწყობა	10 000	
	ახა	წყლის რეზერვარის მოწყობა	10 000	
	მეორე სალამალეიქი	მისასვლეი გზის რეაბილიტაცია	10 000	
	პირველი სალამალეიქი	მისასვლეი გზის რეაბილიტაცია	10 000	
	ახალი გოდაგდაგი +ძველი გოდაგდაგი	სასაფლაოს მისასვლელ გზაზე ხიდის მოწყობა	20 000	ახალი გოდაგდაგი და ძველი გოდაგდაგი აერთიანებს თანხებს საერთო პროექტის განსახორციელებლად
	ქვემო კარაბულახი	გარე განათების მოწყობა. საზოგადოებრივ სივრცეში ფარდულის მოწყობა	10 000	
	ზემო კარაბულახი	ტრენაჟორების მოწყობა	16 000	

ოროზმანი	დალარი	საზოგადოებრივი სივრცის შემოღობვა	10 000	
	ვაკე	შიდა გზების მოხრეშვა	12 000	
	მთისძირი	საზოგადოებრივ სივრცესთან ფარდულის მოწყობა	12 000	
	ზემო ოროზმანი	გარე განათების მოწყობა	16 000	
	ქვემო ოროზმანი	საზოგადოებრივ სივრცესთან ფარდულის მოწყობა	12 000	
დმანისის თემი	პანტიანი	შიდა გზების რეაბილიტაცია	12 000	
	შინდლარი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	12 000	
	იაღუფლო	შიდა გზების რეაბილიტაცია, გარე განათება 6 წერტილი	16 000	
გომარეთი	გომარეთი	9 აპრილის მემორიალის რეაბილიტაცია	16 000	
	ქართული კაკლიანი	მისასვლეი გზის რეაბილიტაცია	10 000	
	მამულო	სველი წერტილის (სამზარეულოს)მოწყობა.არსებულ სკვერში გარე განათება	10 000	
	ქცია	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია	10 000	
კიზილქილისა	კიზილქილისა	გარე განათების მოწყობა	12 000	
	აზკაკლიანი	საზოგადოებრივ სივრცის შემოღობვა და ფგარდულის მოწყობა	12 000	
სარკინეთი	სარკინეთი	არსებული ტრენაჟორების გადახურვა და შემოღობვა	10 000	
	განახლება	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია	10 000	
	ველისპირი	სასმელი წყლის შიდა სისტემის ნაწილობრივ რეაბილიტაცია	10 000	
ამამლო	ამამლო	გარე განათების მოწყობა	20 000	
	ანგრევანი	სოფლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	10 000	
	ბაზაქლო	გარე განათების მოწყობა	16 000	
	საფარლო	გარე განათების მოწყობა	12 000	
	მამიშლო	გარე განათების მოწყობა	12 000	
	ტყისპირი	გარე განათების მოწყობა	10 000	
იფნარი	იფნარი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	12 000	
	დაგარახლო	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	16 000	
	კიზილაჯლო	გარე განათების მოწყობა	10 000	
	საჯა	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	10 000	
	ბახჩალარი	ფარდულის დასრულება	10 000	
	ორმაშენი	გზების მოხრეშვა	10 000	
გუგუთი	გუგუთი	სკვერის მოწყობა.სოფლის სახნავ-სათესი მიწების გზის მოწესრიგება.წყლის სისტემის რეაბილიტაცია	10 000	
	ლოქჭანდარი	საზოგადოებრივი სივრცის შემოღობვა მოპირკეთება	10 000	
	კამიშლო	სოფლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	12 000	
ირგანჩაი	ირგანჩაი	გარე განათების მოწყობა	20 000	
საკირე	საკირე	შიდა გზის რეაბილიტაცია	10 000	
	გორა	გზის რეაბილიტაცია	10 000	

დიდი დმანისი	დიდი დმანისი	საზოგადოებრივ სივრცეში სველი წერტილის მოწყობა	16 000	
	პატარა დმანისი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	10 000	
	ვარდისუბანი	საზოგადოებრივ სივრცეში სველი წერტილის მოწყობა	12 000	
	ბოსლები	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია და შემოღობვა	12 000	
მაშავერა	მაშავერა-უკანგორა	სტადიონის რებილიტაცია	26 000	მაშავერის და უკანგორის თანხა არის გაერთიანებული საერთო პროექტის განსახორციელებლად
კამარლო	შახმარლო	შიდა გზების მოხრეშვა, გარე განათების მოწყობა 4 წერტილი	12 000	
	ქარიანი	საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა	10 000	
	კამარლო	შიდა გზების მოხრეშვა	16 000	
			686 000	

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

10.მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ცვლილების განხორციელება გახდა საჭირო ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის (მიხეილ დაუთაშვილი) არჩევის გამო, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობამ შეადგინა - 8.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

11.მომხსენებელი: კობა მურადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წელს გაწეული მუშობის შესახებ ანგარიში, სადაც დეტალურად ისაუბრა 2023 წელს განხორცილებეული სამუშაოებისა და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ.

გადაწყვიტეს: საკრებულოს წევრებმა მოისმინეს აღნიშნული ანგარიში, რაც ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი